

ნინო კვირიკაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

ninokvirikadze@yahoo.com<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.31>

სიყვარულისა და სიკვდილის გამომხატველი მხატვრული დეტალები იოჰან ვოლფგანგ გოეთეს რომანში „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“

საკვანძო სიტყვები: იოჰან ვოლფგანგ გოეთე, რომანი „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“, სიყვარულისა და სიკვდილის გამომხატველი მხატვრული დეტალები

სტატიაში წარმოდგენილია იოჰან ვოლფგანგ გოეთეს რომანის „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ ტექსტში გამოვლენილი ზოგიერთი მხატვრული დეტალის სემანტიკა. სწორედ მხატვრული დეტალების მნიშვნელობამ და მათმა არსებითმა როლმა ლიტერატურული ნაწარმოების გაგებისათვის გამოიწვია ჩვენი ინტერესი მოცემული საკითხისადმი. ჩვენი არჩევანი შევაჩერეთ სიყვარულისა და სიკვდილის აზრობრივი პლანების გამომხატველ დეტალებზე და ვიფარგლებით ფერის დეტალებით: ესენია ლურჯი (ცისფერი), ყვითელი, ვარდისფერი, თეთრი, შავი ფერები.

ნაშრომის მიზანია, გოეთეს რომანში „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ დავაფიქსიროთ და გავაანალიზოთ დაპირისპირება სიყვარულის (იგივე სიცოცხლის) ელფერის მქონე დეტალებსა და სიკვდილის თემის გამომხატველ დეტალებს შორის. დეტალებისა და მათი პოეტიკის განხილვას ვაწარმოებთ როგორც ტრადიციული ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზის მეშვეობით, ასევე სტრუქტურულ-სემანტიკური მეთოდის გამოყენებით, რომელიც არ უარყოფს ტრადიციული ანალიზის მეთოდს და ფრაგმენტულ-სემანტიკური პლანის სიდრმისეულ დონეზე ავლენს სულ ახალ და ახალ მნიშვნელობას, რითაც ამტკიცებს ტრადიციული პლანის კანონზომიერებას. ეს საშუალებას იძლევა ახლებურად წარმოვაჩინოთ განსახილველი საკითხი.

ტექსტის, როგორც მხატვრული მთლიანობის, განხილვისას დეტალს წარმოვაჩენთ მოძრავი მიკროელემენტის სახით: ე.ი. ის, რასაც ჩვენ ვიკვლევთ, არის დეტალი და ამავე დროს ნაწარმოების დინამიკური სტრუქტურის მოძრავი რგოლი, რომელსაც შეუძლია გადაინაცვლოს ერთი სიტყვათა რიგიდან მეორეში და წარმოქმნას „მიზრდილი აზრი“ („приращенный смысл“ – В.Виноградов), რაც უფრო ფართო შესაძლებლობებს იძლევა დეტალის ახლებური აღქმისა და მისი პოლიფუნქციური მნიშვნელობის, მისი ლაიტმოტივურობის წარმოჩენისათვის. კვლევის საფუძველს წარმოადგენს ვ.ვინოგრადოვის მიერ წამოყენებული [Виноградов, 1980: 250-255; Горшков, 2010: 317-321] და შემდგომში სტრუქტურალისტების [Горшков, 2010: 317-321; Топоров, 1997: 590f.; Успенский, 2000: 35f.; Цивьян, 1997: 661f.] მიერ დამუშავებული სიტყვათა რიგის თეორია. გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანის“ სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი საშუალებას იძლევა უფრო ღრმად შევადწინოთ რომანის ქვეტექსტურ შრეებში.

ჩვენი ამოცანაა, თვალი გავადევნოთ საძიებელი დეტალების მოძრაობას გოეთეს რომანის მთელ ტექსტობრივ სივრცეში და დავაფიქსიროთ მათი მნიშვნელობა ტექსტის ცალკეულ ფრაგმენტებში – სიტყვათა რიგების კონტექსტში.

ჩვენი კვლევის ამოსავალ პუნქტად გვინდა დავაფიქსიროთ თომას მანის გამონათქვამი მისი სტატიიდან „Goethes Werther“ (1938). მწერალი აქ აღნიშნავს, რომ გოეთეს „ვერთერის“ გამოქვეყნების შემდეგ „ახალგაზრდობის მთელი თაობა ვერტერში ხედავდა თავის სულიერ ხატს. მეოცნებე იერიით დააბიჯებდნენ ჭაბუკები იმგვარ **ცისფერ ფრაკში, ყვითელ ჟილეტსა და შარვალში, თვითმკვლელობისათვის განწირულ გმირს** რომ ემოსა რომანში“ [2: 314] (ორიგინალში: „Eine ganze Generation junger Menschen erkannte ihre Seelenverfassung in der Werthers wieder. Man ging schwärmerisch-demonstrativ in der Tracht umher, die **dem jungen Todeskandidaten** im Roman zugeschrieben wird: **dem blauen Frack mit gelber Weste und Hose**“ [2: 314]) (კურსივი აქ და შემდგომში ჩვენია – ნ.კ.). როგორც ვხედავთ, თომას მანის მიერ მოყვანილ მომენტში პრევალირებს **სიკვდილის** თემა (**Todeskandidaten** – **თვითმკვლელობა**) და ამ სიკვდილის თემაში ლოგიკურად ერთვება ორი ფერი, ორი ფერის დეტალი: **blau – ცისფერი (ლურჯი)** და **gelb – ყვითელი**. მაშასადამე, თომას მანს მიაჩნია, რომ ახალგაზრდა ვერთერის ზემომოყვანილი ჩაცმულობა უშუალოდაა დაკავშირებული სიკვდილის თემატიკასთან. აქვე შეიძლება გამოვყოთ სიტყვათა რიგი – სიკვდილის გამომხატველი რიგი:

dem jungen **Todeskandidaten** – **dem blauen Frack** – **mit gelber Weste und Hose** –

თვითმკვლელობისათვის განწირულ გმირს – ცისფერ ფრაკში – ყვითელ ჟილეტსა და შარვალში

ახლა კი ვნახოთ, თუ როგორ წარმოაჩენს ფერის დეტალებს თავად გოეთე თავის რომანში და რა სემანტიკას ატარებენ ისინი ტექსტში. განვიხილოთ ისინი ცალკეულ ფრაგმენტებში ქრონოლოგიურად. პირველ რიგში ჩვენ გვაინტერესებს **სიყვარულისა** და **სიკვდილის** სემანტიკის გამომხატველი მხატვრული დეტალები. ჩვენთვის საინტერესო ფერები თავდაპირველად შემოდის გოეთეს რომანის პირველი წიგნის 16 ივნისის წერილში ვილჰელმისადმი (Am 16. Junius). (ანალიზის დროს ყველგან გერმანულ ორიგინალს გაჰყვება ქართული თარგმანი).

ფრაგმენტი პირველი (პირველი წიგნის 1771 წ. 16 ივნისის წერილი)

Ich ging durch den Hof nach dem wohlgebauten Hause, und da ich die vorliegenden Treppen hinaufgestiegen war und in die Tür trat, fiel mir das reizendste Schauspiel in die Augen, das ich je gesehen habe. In dem Vorsaale wimmelten sechs Kinder von eilf zu zwei Jahren um **ein Mädchen von schöner Gestalt, mittlerer Größe, die ein simples weißes Kleid, mit blaßroten Schleifen an Arm und Brust, anhatte**. Sie hielt ein schwarzes Brot und schnitt ihren Kleinen ring herum jedem sein Stück nach Proportion ihres Alters und Appetits ab, gab's jedem mit solcher Freundlichkeit, und jedes rief so ungekünstelt sein „Danke!“, indem es mit den kleinen Händchen lange in die Höhe gereicht hatte, ehe es noch abgeschnitten war, und nun mit seinem Abendbrote vergnügt entweder wegsprang, oder nach seinem stillern Charakter gelassen davonging nach dem Hoftore zu, um die Fremden und die Kutsche zu sehen, darin ihre Lotte wegfahren sollte [3: 21].

(ეზო გავიარე და გემოვნებით ნაგებ სახლისკენ გავემართე. კიბე რომ ავიარე და სახლში შესასვლელი კარი რომ შევაღე, თვალიწი ისეთი წარმტაცი სურათი გადამეშალა, რომლის მსგავსი არასოდეს მინახავს. დერეფანში **მოხდენილი აღნაგობის შუატანის ქალიშვილს** გარს შემოხვეოდა თერთმეტიდან ორ წლამდე ასაკის ექვსი ბავშვი. **ქალიშვილს უბრალო თეთრი კაბა** ეცვა, **მკლავები და მკერდი ვარდისფერი ბაბთებით შეემკო**. ხელში შავი პური ეჭირა, გარშემოხვეულ ბავშვებს ასაკისა და მადის შესაფერ ნაჭერს უჭრიდა და

ალერსით ურიგებდა. ყოველი მათგანი პაწია ხელს პურისკენ იწვდიდა, თავისი წილის მიღებამდე უკვე მადლობას იხდიდა და, როგორც კი ვახშამს ხელთ იგდებდა, ზოგი ხტუნვას მოჰყვებოდა, ზოგი კი – ვინც უფრო წყნარი იყო, – ჭიშკრისკენ მიემართებოდა, რომ უცხო ხალხი და ის კარეტა ენახა, რომალსაც მათი ლოტე უნდა წაეყვანა) [1: 18].

ამ ფრაგმენტის სიტყვათა რიგი ასეთია:

ein Mädchen von schöner Gestalt, mittlerer Größe – die ein simples weißes Kleid (შემთხვევითი წვრილმანი) – mit blaßroten Schleifen (შემთხვევითი წვრილმანი) an Arm und Brust anhatte –

მოხდენილი აღწაგობის შუატანის ქალიშვილს – უბრალო თეთრი კაბა (შემთხვევითი წვრილმანი) ეცვა – მკლავები და მკერდი ვარდისფერი ბაფთებით (შემთხვევითი წვრილმანი) შეემკო –

სამიბელო დეტალები *თეთრი კაბა* და *ვარდისფერი ბაფთები* განხილულ ფრაგმენტში ჯერჯერობით არანაირ დამატებით სემანტიკურ დატვირთვას არ ატარებენ და გვევლინებიან როგორც *შემთხვევითი წვრილმანები* და არა როგორც მხატვრული დეტალები.

ფრაგმენტი მეორე (ასევე პირველი წიგნის 16 ივნისის წერილი)

Wie ich mich unter dem Gespräche in den schwarzen Augen weidete – wie die lebendigen Lippen und die frischen, muntern Wangen meine ganze Seele anzogen – wie ich, in den herrlichen Sinn ihrer Rede ganz versunken, oft gar die Worte nicht hörte, mit denen sie sich ausdrückte – davon hast du eine Vorstellung, weil du mich kennst [3: 23-24].

(რა ნეტარებას მგვრიდა ამ საუბრისას მისი შავი თვალების მზერა! რაოდენ იზიდავდა მთელ ჩემს სულს მისი მეტყველი ტუჩები და შეფაკლული ნორჩი ღაწვები! შენ მიცნობ მე და მიმიხვდები, მისი საუბრის წარმტაც აზრებში ერთიანად ჩაძირულს რად არ მესმოდა ცალკე სიტყვები) [1: 20].

ამ ფრაგმენტში თვალების *შავი ფერი* ქალიშვილის არა მხოლოდ გარეგნულ სილამაზეს უსვამს ხაზს, არამედ პირველივე შეხედვიდანვე წარმოშობილი რომანტიკული სიყვარულით (ვერთერისა ლოტეს მიმართ) იტვირთება და მხატვრული დეტალის როლს ასრულებს, მაგრამ *თეთრი კაბა* და *ვარდისფერი ბაბთები* კვლავ შემთხვევითი წვრილმანებად რჩება. შავი ფერის დეტალები ავტომატურად შედის პირველ სიტყვათა რიგში, რის შედეგადაც ის ფართოვდება:

ein Mädchen von schöner Gestalt, mittlerer Größe – die ein simples weißes Kleid (შემთხვევითი წვრილმანი) – mit blaßroten Schleifen (შემთხვევითი წვრილმანი) an Arm und Brust anhatte – Wie ich mich – in den schwarzen Augen weidete –

მოხდენილი აღწაგობის შუატანის ქალიშვილს – უბრალო თეთრი კაბა (შემთხვევითი წვრილმანი) ეცვა – მკლავები და მკერდი ვარდისფერი ბაბთებით (შემთხვევითი წვრილმანი) შეემკო – რა ნეტარებას მგვრიდა – მისი შავი თვალების მზერა! –

ფრაგმენტი მესამე (პირველი წიგნის 8 ივლისის წერილი)

Was man ein Kind ist! Was man nach so einem Blicke geizt! Was man ein Kind ist! – Wir waren nach Wahlheim gegangen. Die Frauenzimmer fuhren hinaus, und während unserer Spaziergänge glaubte ich *in Lottens schwarzen Augen* – ich bin ein Tor, verzeih mir! *Du solltest sie sehen, diese Augen.* [...] *Ich suchte Lottens Augen;* ach, sie gingen von einem zum andern! *Aber auf mich! mich! mich!* der ganz allein auf sie resigniert dastand, fielen sie nicht! – Mein Herz sagte ihr tausend Adieu! *Und sie sah mich nicht!* Die Kutsche fuhr vorbei, und eine Träne stand mir im Auge. Ich sah ihr nach [...] *und sie wandte sich um zu sehen, ach! nach mir?* [...] das ist mein Trost: *vielleicht hat sie sich nach mir umgesehen! Vielleicht!* [3: 36-37].

(რა ბავშვები ვართ! რა ბევრს ნიშნავს ერთი შემოხედვა! ოჰ, რა ბავშვები ვართ!

ვალჰაიმში წავედით. ქალები ეტლით გაემგზავრნენ და სეირნობისას **ლოტეს შავ თვალებში ...** სულელი ვარ. მაპატიე! **თვითონ უნდა გენახა ეს თვალები!** [...] **მე ლოტეს თვალებს ვუღარაჯებდი**, მაგრამ უჰ, იგი სხვებს უმზერდა, **მე კი, მე, მე, ვინც მის შეხედვას ასე ველოდი**, არ შემომხედა! ჩემი გული დაუსრულებლად იმეორებდა: „მშვიდობით!“ **მან ერთი შემოხედვაც არ გაიმეტა!** ეტლი დაიდრა და მე ცრემლი მომეძალა. ლოტეს თვალი გავაყოლე [...] **იგი შებრუნდა და მოიხედა, ო! ნუთუ მე შემომხედა?** [...] ერთი ნუგეშილა მამშვიდებს – **მაშინ ალბათ მე მომხედა! ალბათ!** [1: 32-33].

ფრაგმენტი მეოთხე (პირველი წიგნის 13 ივლისის წერილი)

Nein, ich betriege mich nicht! **Ich lese in ihren schwarzen Augen wahre Teilnahme an mir und meinem Schicksal.** Ja ich fühle, und darin darf ich meinem Herzen trauen, **daß sie – o darf ich, kann ich den Himmel in diesen Worten aussprechen? – daß sie mich liebt!**

Mich liebt! – Und wie wert ich mir selbst werde, wie ich – dir darf ich’s wohl sagen, du hast Sinn für so etwas – wie ich mich selbst anbete, **seitdem sie mich liebt!** [3: 38].

(არა, თავს არ ვიტყუებ! **მის შავ თვალებში ჩემდამი და ჩემი ბედისადმი ჭეშმარიტ თანაგრძნობას ვკითხულობ.** ჰო, ვგრძნობ, და ამაში კი შემიძლია ვენდო ჩემს გულს, **რომ –** ოჰ, მაქვს კი უფლება, შემიძლია კი ამ სიტყვებით გამოვხატო ზეციური ნეტარება? – **რომ მას ვუყვარვარ?**

ვუყვარვარ! ოჰ, როგორ ავმალლდი საკუთარ თვალში, როგორ ... შეიძლება შენ გითხრა ეს, რადგან გამოიგებ, – საკუთარ თავს მას შემდეგ, **რაც მას ვუყვარვარ!**) [1: 34].

მესამე და მეოთხე ფრაგმენტებში ლოტეს **შავი ფერის** თვალები ისევ იძენს სიყვარულის დამატებით მნიშვნელობას, ოღონდ ამჯერად ვერთერის ლოტესადმი სიყვარულს ემატება უკვე ვერთერისადმი ლოტეს სიყვარული, რასაც დაბეჯითებით ამტკიცებს თავად ვერთერი. სიტყვათა რიგი ისევ იზრდება:

ein Mädchen von schöner Gestalt, mittlerer Größe – die ein simples weißes Kleid (შემთხვევითი წვრილმანი) – mit blaßroten Schleifen (შემთხვევითი წვრილმანი) an Arm und Brust anhatte – Wie ich mich – in den schwarzen Augen weidete – in Lottens schwarzen Augen – vielleicht hat sie sich nach mir umgesehen! Vielleicht! – Ich lese in ihren schwarzen Augen wahre Teilnahme an mir und meinem Schicksal – daß sie mich liebt! – seitdem sie mich liebt! –

მოხდენილი აღნაგობის შუატანის ქალიშვილს – უბრალო თეთრი კაზა (შემთხვევითი წვრილმანი) ეცვა – მკლავები და მკერდი ვარდისფერი ბაბთებით (შემთხვევითი წვრილმანი) შეემკო – რა ნეტარებას მგვრიდა – მისი შავი თვალების მზერა! – ლოტეს შავ თვალებში –მაშინ ალბათ მე მომხედა! ალბათ! – მის შავ თვალებში ჩემდამი და ჩემი ბედისადმი ჭეშმარიტ თანაგრძნობას ვკითხულობ – რომ მას ვუყვარვარ – რაც მას ვუყვარვარ! –

ფრაგმენტი მეხუთე (პირველი წიგნის 28 აგვისტოს წერილი)

Es ist wahr, wenn meine Krankheit zu heilen wäre, so würden diese Menschen es tun. Heute ist mein Geburtstag, und in aller Frühe empfangen sie ein Päckchen von Alberten. Mir fällt beim Eröffnen sogleich **eine der blaßroten Schleifen** in die Augen, **die Lotte vor hatte, als ich sie kennen lernte, und um die ich sie seither etlichemal gebeten hatte.** [...]. Sieh! so kommen sie meinen Wünschen zuvor, so suchen sie alle die kleinen Gefälligkeiten der Freundschaft auf, die tausendmal werter sind als jene blendenden Geschenke, wodurch uns die Eitelkeit des Gebers erniedrigt. **Ich küsse diese Schleife tausendmal, und mit jedem Atemzuge schlürfe ich die Erinnerung jener Seligkeiten ein**, mit denen mich jene wenigen, glücklichen, unwiederbringlichen Tage überfüllten [3: 54].

(ჩემი ავადმყოფობის განკურნება რომ შეიძლებოდა, მჯერა, ამას ყველაზე უკეთ ეს

ხალხი მოახერხებდა. ჩემი დაბადების დღეა და დილაადრიან ალბერტისაგან პაკეტი მივიღე. გავხსენი თუ არა, *თვალში მომხვდა ვარდისფერი ბაბთა, რომელიც ლოტეს გაცნობის დღეს ეკეთა. შემდეგ რამდენჯერმე ვთხოვე იგი, მაჩუქეთ-მეთქი.* [...] ასე გამოიცნობენ ხოლმე ისინი ჩემს სურვილს, მეგობრულ გრძნობებს გამოხატავენ მცირედით, რომელიც ათასჯერ ძვირფასია, ვიდრე ის თვალისმომჭრელი მდიდარი საჩუქრები, რომლებითაც მზომეხელი თვითონ მედიდურობის ჭიას ახარებს, ჩვენ კი გვამცირებს. *გაუთავებლად ვკოცნი ამ ბაბთას და ჰაერის ყოველი ჩასუნთქვით ვიჟლინთები მოგონების ნეტარებით*, რომელიც იმ მცირეოდენ, დაუბრუნებლად წასულ ბედნიერ დღეებს მაგონებს) [1: 49].

მეხუთე ფრაგმენტში *ვარდისფერი ბაბთა*, რომელიც პირველ ფრაგმენტში შემთხვევითი წვრილმანი იყო, მკვეთრად იცვლის თავის სემანტიკას: ლოტე ჩუქნის მას ვერთერს დაბადების დღისთვის და ბაბთა, რომელსაც ვერთერი გაუთავებლად კოცნის, უკვე გამოხატავს ყმაწვილის სიყვარულს ლოტესადმი. ეს არის სიყვარულის გამომხატველი მხატვრული დეტალი: *გაუთავებლად ვკოცნი ამ ბაბთას და ჰაერის ყოველი ჩასუნთქვით ვიჟლინთები მოგონების ნეტარებით.*

ფრაგმენტი მეექვსე (პირველი წიგნის 10 სექტემბრის წერილი)

„Lotte!“ rief ich aus, indem ich mich vor sie hinwarf [...] „Lotte! Der Segen Gottes ruht über dir und der Geist deiner Mutter!“ – „Wenn Sie sie gekannt hätten,“ sagte sie, indem sie mir die Hand drückte, – sie war wert, von Ihnen gekannt zu sein!“ [...] „Und diese Frau mußte in der Blüthe ihrer Jahre dahin, da ihr jüngster Sohn nicht sechs Monate alt war! Ihre Krankheit dauerte nicht lange; sie war ruhig, hingegeben, nur ihre Kinder taten ihr weh [...]“

„Werther, fing sie an, „und diese Frau sollte dahin sein! Gott! wenn ich manchmal denke, wie man das Liebste seines Lebens wegstehen läßt, und niemand als die Kinder das so scharf fühlt, die sich noch lange beklagten, *die schwarzen Männer hätten die Mama weggetragen!*“ [3: 58].

(„ლოტე! – შევძახე და მის წინაშე მუხლებზე დავემხე [...]. – ლოტე! უფლის კურთხევა და დედაშენის სული დავანებულა შენს ზეგარდმო!“

„ნეტამც კი გცნობოდათ დედაჩემი, – მითხრა ლოტემ და ხელი მომიჭირა, – იგი უთუოდ ღირსი იყო თქვენი ცნობისა!“ [...] „და ასეთი ქალი გარდაიცვალა ჯერაც სიცოცხლით სავსე, – განაგრძო ლოტემ, – როცა უმცროსი ვაჟი ექვსი თვისაც არ იყო! დიდხანს არ უავადმყოფია. მორჩილად და მშვიდად იყო, მხოლოდ შვილების გამო „წუხდა“ [...]

„და აი, ვერთერ, ასეთი ქალი უნდა დაგვკარგოდა! – მომმართა ლოტემ. – ღმერთო, დიდებულო, ხანდახან ვფიქრობ, როგორ ველევით ხოლმე ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასის დაკარგვას და არავინ გრძნობს ამას ისე მტკივნეულად, როგორც ბავშვები: მერე ისინი ჩიოდნენ – *ჩვენ დედა შავმა კაცებმა წაიყვანესო*“ [1: 53-54].

მეექვსე ფრაგმენტში *შავი ფერი*, რომელიც მეორე, მესამე და მეოთხე ფრაგმენტებში სიყვარულის მხატვრულ დეტალად გვევლინებოდა, მეექვსე ფრაგმენტში უკავშირდება ლოტეს დედის გარდაცვალებას და სიკვდილის დეტალად იქცევა: *„ჩვენ დედა შავმა კაცებმა წაიყვანესო“.*

ფრაგმენტი მეშვიდე (პირველი წიგნის 1771 წ. 10 სექტემბრის წერილი)

Sie stand auf, und ich ward erweckt und erschüttert, blieb sitzen und hielt ihre Hand. – „Wir wollen fort“, sagte sie, „es wird Zeit.“ – Sie wollte ihre Hand zurückziehen, und ich hielt sie fester. – „Wir werden uns wieder sehen,“ rief ich, „wir werden uns finden, unter allen Gestalten werden wir uns erkennen. Ich gehe,“ fuhr ich fort, „ich gehe willig, und doch, wenn ich sagen sollte auf ewig, ich würde

es nicht aushalten. Leb' wohl, Lotte! Leb' wohl, Albert! Wir sehn uns wieder.“ – „Morgen, denke ich,“ versetzte sie scherzend. – Ich fühlte das Morgen! Ach, sie wußte nicht, als sie ihre Hand aus der meinen zog – **Sie gingen die Allee hinaus, ich stand, sah ihnen nach im Mondscheine** und warf mich an die Erde und weinte mich aus und sprang auf und lief auf die Terrasse hervor und **sah** noch dort unten im Schatten der hohen Lindenbäume **ihr weißes Kleid nach der Gartentür schimmern, ich streckte meine Arme aus, und es verschwand** [3: 59].

ლოტე წამოდგა, მე თითქოს გამომავლიძეს, შეძრწუნებული ვიყავი და მისი ხელი ისევ ხელთ მეკურა.

„წავიდეთ, დროა“, – წარმოთქვა მან და ხელის გათავისუფლება მოინდომა, მაგრამ მე უფრო მაგრად ჩავჭიდე.

„ჩვენ კვლავ ვნახავთ ერთმანეთს, – წამოვიძახე აღელვებულმა, – უთუოდ ვიპოვით და ვიცნობთ ურთიერთს, როგორც უნდა ვიყოთ სახეშეცვლილნი. მივდივარ, ჩემი ნებით ვტოვებ აქაურობას და აუცილებელი რომ ყოფილიყო მეთქვა – „სამუდამოდ-მეთქი“, სულ ერთია, ამას მაინც ვერ შევძლებდი. მშვიდობით, ლოტე! მშვიდობით, ალბერტ! ჩვენ კვლავ შევხვდებით!“

„ხვალ“, – მომიგო მან ხუმრობით. მაგრამ რას ვგრძნობდი ამ „ხვალეში!“ აჰ, რა იცოდა მან, როცა ხელი გაითავისუფლა ჩემი ხელიდან...

ისინი ხეივანს გაუყვნენ. ვიდრე, გავყურებდი მთვარის შუქში გახვეულებს, შემდეგ მიწას დავემხე და ავქვითინდი. გული რომ ვიჯერე, ფეხზე წამოვიჭერი, ტერასაზე ავირბინე, ქვემოთ, მაღალი ცაცხვის ჩრდილქვეშ **ბაღის კართან თვალი მოვკარი ლოტეს თეთრ კაბას, ხელები წინ გავიშვირე, ის კი ერთ წამში გაქრა** [1: 53-54].

აქ **თეთრი ფერის** დეტალი (სიტყვათმწიფართი – ლოტეს თეთრი კაბა), რომელიც თავდაპირველად შემთხვევითი წვრილმანი იყო, აშკარად სიყვარულის სემანტიკას იმატებს (ვერთერის სიყვარული ლოტესადმი), მაგრამ აქ უფრო დაკარგული, აუსრულებელი სიყვარულის მოტივი ჟღერს: **თვალი მოვკარი ლოტეს თეთრ კაბას, ხელები წინ გავიშვირე, ის კი ერთ წამში გაქრა**.

ფრაგმენტი მერვე (მეორე წიგნის 1772 წ. 6 სექტემბრის წერილი)

Es hat schwer gehalten, bis ich mich entschloß, **meinen blauen einfachen Frack**, in dem ich mit Lotten zum erstenmale tanzte, abzulegen, er ward aber zuletzt gar unscheinbar. **Auch habe ich mir einen machen lassen ganz wie den vorigen, Kragen und Aufschlag, und auch wieder so gelbe Weste und Beinkleider dazu.**

Ganz will es doch die Wirkung nicht tun. Ich weiß nicht – Ich denke, mit der Zeit soll mir der auch lieber werden [3: 79].

(ფრიად გამიძნელდა, შევლეოდი **ჩემს უზრალო ცისფერ ფრაკს**, რომელშიც პირველად ვიცეკვე ლოტესთან, მაგრამ ბოლოს ისე დამველდა, რომ ჩაცმა აღარ შეიძლებოდა. მეორედ სწორედ **ისეთი შევაკერინე, ისეთივე საყელოთი და გადანაკვეთი. შევაკერინე ყვითელი ჟილეტიცა და შარვალიც**. მაგრამ ეს ისე არ მომწონს, არ ვიცი, დრო რომ გავა, იქნებ უფრო შემეყვარდეს) [1: 74].

აქ პირველად ვკითხულობთ ვერთერის ჩაცმულობის შესახებ, რომელიც დააფიქსირა თომას მანმა თავის ესეში „გოეთეს ვერთერი“. ამ ჩაცმულობის ყველა დეტალი და მთლიანად კოსტუმი გამსჭვალულია ლოტესადმი ვერთერის უსაზღვრო სიყვარულით.

ფრაგმენტი მეცხრე (მეორე წიგნი, 1772 წ. 10 ოქტომბრის წერილი)

Wenn ich nur ihre schwarzen Augen sehe, ist mir es schon wohl! Sieh, und was mich verdrießt, ist, daß Albert nicht so beglückt zu sein scheint, als er – hoffte – **als ich – zu sein glaubte – wenn** – Ich mache nicht gern Gedankenstriche, aber hier kann ich mich nicht anders ausdrücken – und mich dünkt

deutlich genug [3: 82].

(*საკმარისია მის შავ თვალებს შევხედო, რომ კარგად გავხდე*. გუნებას ის მიფუჭებს, რომ ალბერტი არც ისე ბედნიერი ჩანს, როგორც ის... იმედოვნებდა... *მე კი... ვიქნებოდი... რომ...* მრავალწერტილი არ მიყვარს, მაგრამ ამჟამად სხვაგვარად ვერ გამომიტყვამს ჩემი სათქმელი ... ახლა კი მგონია, საკმაოდ ნათლადა ვთქვი) [1: 77].

ფრაგმენტი მეათე (მეორე წიგნი, 1772 წ. 6 დეკემბრის წერილი)

Wie mich die Gestalt verfolgt! Wachend und träumend füllt sie meine ganze Seele! *Hier*, wenn ich die Augen schließe, hier in meiner Stirne, wo die innere Sehkraft sich vereinigt, *stehen ihre schwarzen Augen*. Hier! ich kann dir es nicht ausdrücken. Mache ich meine Augen zu, *so sind sie da; wie ein Meer, wie ein Abgrund ruhen sie vor mir, in mir, füllen die Sinne meiner Stirn* [3: 92].

(მისი სახე ყველგან თანა მდევს! იგი ავსებს მთელ ჩემს არსებას ძილშიც, ღვიძილშიც! როცა თვალს ვხუჭავ, *აი აჰ*, შუბლქვეშ, სადაც შინაგანი მხედველობის ძალები ერთდებიან, *წარმომიდგება მისი შავი თვალები*. აჰ! არ შემიძლია შენთვის ამის განმარტება. დავხუჭავ თუ არა თვალებს, *ისინი მაშინაც აქ არიან*, როგორც ზღვა, როგორც უფსკრული გადაშლილან ჩემს წინაშე და მთელი ფიქრი, მთელი გრძნობა წარუტაციათ) [1: 87].

მეცხრე და მეათე ფრაგმენტებში კვლავ შემოდის *შავი ფერის* დეტალები (სიტყვათშენაერთში *ლოტეს შავი თვალები*) და ისინი კვლავ გვევლინება სიყვარულის გამომხატველ მხატვრულ დეტალებად.

ფრაგმენტი მეთერთმეტე (მეორე წიგნი)

„*In diesen Kleidern*, Lotte, *will ich begraben sein, du hast sie berührt, geheiligt*; ich habe auch deinen Vater darum gebeten. Meine Seele schwebt über dem Sarge. Man soll meine Taschen nicht aussuchen. *Diese blaßrote Schleife, die du am Busen hattest, als ich dich zum ersten Male* unter deinen Kindern *fand* – O küsse sie tausendmal und erzähle ihnen das Schicksal ihres unglücklichen Freundes. [...]. Ach wie ich mich an dich schloß! seit dem ersten Augenblicke dich nicht lassen konnte! – *Diese Schleife soll mit mir begraben werden. An meinem Geburtstage schenktest du sie mir!* Wie ich das alles verschlang! [...]. Sie sind geladen – [...] Lotte! Lotte, lebe wohl! lebe wohl!“ [3: 123].

(*ამავე სამოსით მსურს დამმარხოთ, რაც ზედ მაცვია, მას შეხება შენი ხელი და განგიწმენდია*. მამაშენსაც ვუწერ ბარათში. ჩემი სული უკვე კუბოს დაფარფატებს. ჯიბეებს ნუ გამიჩხრეკენ. *აი, ის ვარდისფერი ბაბთაც, რომელიც მკერდზე გვეკეთა, როცა პირველად გნახე* შენს ბავშვებს შორის, ოჰ, დამიკოცნე ისინი და უამბე, რა ხვედრი ერგო მათ უბედურ მეგობარს. [...]. ოჰ, რა ძალიან შეგეჩვიე! პირველი წუთიდანვე აღარ მსურდა მოგშორებოდი!.. *ეს ბაბთა თან ჩამატანეთ. იგი შენ მაჩუქე დაბადების დღეს*. რა უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი მაშინ!.. [...]. დამბაჩები დატენილია... [...] ლოტე, მშვიდობით, ლოტე! მშვიდობით!..“) [1: 117].

ამ ფრაგმენტში ვერთერის *ჩაცმულობის დეტალები* და ლოტეს *ვარდისფერი ბაბთა* ატარებენ როგორც სიყვარულის, ასევე სიკვდილის სემანტიკას. სიკვდილის სემანტიკა აქ პრევალირებს.

ფრაგმენტი მეთორმეტე (მეორე წიგნი)

Aus dem Blut auf der Lehne des Sessels konnte man schließen, er habe sitzend vor dem Schreibtische die Tat vollbracht, dann ist er heruntergesunken, hat sich konvulsivisch um den Stuhl herumgewälzt. *Er* lag gegen das Fenster entkräftet auf dem Rücken, *war in volliger Kleidung, gestieft, im blauen Frack mit gelber Weste*.

[...]. Werthern hatte man auf das Bett gelegt, die Stirn verbunden, *sein Gesicht schon wie eines Toten* [...]; man erwartete sein Ende.

[...]. Um zwölf mittags *starb er* [3: 124].

(სავარძლის გასისხლიანებული საზურგე მოწმობდა, რომ სროლის დროს მაგიდასთან მჯდარიყო, ძირს ჩამოცურებულიყო და კრუნჩხვით ეხოხა სავარძლის ირგვლივ. მიმტკნარებული ფანჯრის პირდაპირ პირაღმა იწვა. *ჩექმები, ცისფერი ფრაკი და ყვითელი ჟილეტი ეცვა.*

[...] ვერთერი ლოგინზე დაეწვინათ; შუბლი შეეხვიათ. *სახე უკვე მკვდარისა ედო*, არ იძვროდა. [...] აღსასრულს ყოველ წუთს ელოდნენ.

[...] შუადღის თორმეტ საათზე *გარდაიცვალა ვერთერი*) [1: 117-118].

ამ ბოლო ფრაგმენტში ფიქსირდება მხოლოდ ვერთერის სამოსის უკვე განხილული დეტალები და ეს დეტალები ატარებენ მხოლოდ სიკვდილის სემანტიკას.

ანალიზის შედეგად ვასკვნით, რომ რომანში „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ აქტიურად მოქმედებენ და ერთმანეთს უპირისპირდებიან სიყვარულისა და სიკვდილის გამომხატველი მხატვრული დეტალები. საინტერესოა ის მომენტი, რომ სიყვარულის დეტალები ახალ კონტექსტში და სხვა სიტყვათა რიგში შეიძლება სიკვდილის დეტალებად გარდაიქმნას, თუმცა ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია, ორივე მნიშვნელობა ერთდროულად შენარჩუნდეს. ისინი მეორდებიან, ახლებურად აფიქსირებენ სიტუაციასა და პერსონაჟთა შინაგან სამყაროს, იქცევიან ლაიტმოტივებად და ბოლოს ხაზს უსვამენ ორი მოსიყვარულე ახალგაზრდის ასეთ ტრაგიკულ ხვედრს: სიკვდილის გამომხატველი დეტალები სიყვარულის დეტალებზე იმარჯვებენ, რაც სავსებით ეხმიანება ნაწარმოების ჩანაფიქრს.

ლიტერატურა:

1. გოეთე, იოჰან ვოლფგანგი (1983): *ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი*. თარგმანი გერმანულიდან ოთარ ხუციშვილისა. თბილისი: მერანი.
2. მანი, თომასი (1983): *გოეთეს „ვერტერი“*. გერმანულიდან თარგმნა რუსუდან ღვინეფაძემ. // „საუნჯე“, 1983, № 2(53). 313-320.
3. Goethe, Johann Wolfgang (1968): *Die Leiden des jungen Werther*. In: Goethes Werke. Hamburger Ausgabe in 14 Bänden. Band VI. Romane und Novellen. Erster Band. Hamburg: Christian Wegner Verlag. S.7-124.
4. Mann 1955: Mann, Thomas: *Goethes Werther*. In: Mann, Thomas: *Gesammelte Werke* in 12 Bänden. Bd. XI. Berlin: Aufbau Verlag. S. 228-243.
5. Виноградов, Виктор (1980): О языке художественной прозы: Избранные труды. Москва: Наука.
6. Горшков, Александр (2010): Русская словесность: От слова к словесности. Москва: Просвещение.
7. Иванов, Топоров 1997: Иванов, Вячеслав/Топоров, Владимир (1997): Постановка задачи реконструкции текста и реконструкции знаковой системы // Из работ Московского семиотического круга. Москва: Языки русской культуры. С.45-73.
8. Цивьян, Татьяна (1997): О структуре времени и пространства в романе Достоевского „Подросток“ // Из работ Московского семиотического круга. Москва: Языки русской культуры. С. 661-762.

Artistic Details Expressing Love and Death in Johann Wolfgang Goethe's Novel "The Sorrows of Young Werther"

Abstract

The article presents the semantics of certain artistic details found in the text of Johann Wolfgang Goethe's novel "The Sorrows of Young Werther". Our interest in this topic was sparked by the significance and essential role of artistic details in understanding the literary work. We focused specifically on details that express the conceptual planes of love and death, limiting our analysis to color details: blue, yellow, pink, and black.

The aim of this study is to identify and analyze the opposition between details that carry the shade of love (or life) and those associated with death. Such an analysis allows for a deeper exploration of the characters' psychological depth and, potentially, the intensity of social and familial values. Our examination of details and their poetics is conducted using both traditional literary analysis and the structural-semantic method, which does not reject traditional analysis but, by delving into the deeper layers of the fragmentary-semantic plane, uncovers new meanings. This, in turn, affirms the validity of traditional literary approaches while allowing for a fresh perspective on the subject.

In discussing the text as an artistic whole, we present the detail as a dynamic micro-element—meaning that what we study is both a detail and a moving component of the work's dynamic structure. This detail can shift from one word sequence to another, generating what V. Vinogradov terms "incremental meaning" ("приращенный смысл"), thus offering broader possibilities for reinterpreting details, highlighting their multifunctionality, and emphasizing their leitmotif significance. The foundation of this research is based on the theory of word sequences proposed by V. Vinogradov and later developed by structuralists such as V. Toporov, B. Uspenski, and T. Tsivyan. A structural-semantic analysis of Goethe's *Werther* enables us to penetrate deeper into the novel's subtextual layers.

Our objective is to trace the movement of the studied details throughout the textual space of the novel and to determine their significance within individual fragments—specifically within the context of word sequences.

Through our analysis, we conclude that *The Sorrows of Young Werther* actively employs and contrasts artistic details that express love and death. A particularly intriguing aspect is that details associated with love, when placed in a new context or different word sequence, may transform into details signifying death. In some cases, both meanings may coexist simultaneously. These details are recurrent, provide a fresh perspective on situations and characters' inner worlds, function as leitmotifs, and ultimately underscore the tragic fate of the two lovers: the details representing death triumph over those symbolizing love, which fully aligns with the novel's overarching theme.

Key words: Johann Wolfgang Goethe, Novel "The Sorrows of Young Werther", Artistic Details Expressing Love and Death